საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თიღვა



თიღვა

თიღვა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. დასავლეთის ფრონის მარჯვ. ნაპირზე. მუნიციპალიტეტისა და თემის ცენტრი. ზ. დ. 840 მ ყორნისიდან 2 კმ.

თ. შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. პირველად იხსენიება X ს-ში „მატიანე ქართლისაში" ბაგრატ III-თან დაკავშირებით. ხშირად გვხვდება აგრეთვე XII–XVIII სს. ქართ. ისტ. წყაროებსა და საბუთებში. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც (XVIII ს.). ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ თ. როსტომ მეფეს ზაალ წერეთლისთვის უბოძებია (1648). 1748 ერეკლე II-მ შანშე ქსნის ერისთავს განუახლა თ-ის კუთვნილების საბუთი. 1715 თ-ში 52 გლეხი ცხოვრობდა, 1804 – 25 კომლი, რ-ებიც ეკუთვნოდა ამირეჯიბსა და მაჩაბელს.

სოფელში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამონასტრო კომპლექსი რ-ის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. იგი ისტ. წყაროებში ჯვრის მონასტრის სახელითაცაა ცნობილი (ვახუშტი ბატონიშვილი). ეკლესიის ჩრდ. ფასადის კარის თავზე ასომთავრულით ამოკვეთილ ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ასული თამარი. იგი თავისი ქმრის, შირვანის მეფის, გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, 1150–52 ეს მონასტერი ააშენა და მონაზვნად აღიკვეცა. დაკრძალულია იქვე.

ტაძარი გეგმით სწორკუთხედში ჩახაზული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა აღმოსავლეთის აფსიდითა და სამი სწორკუთხა მკლავით. აფსიდებითვეა დასრულებული საკურთხევლის ორივე მხარეს მდებარე სამკვეთლო და სადიაკვნეც. გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და თავისუფლად მდგარ ორ ბოძს ეყრდნობა. ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს დას. მხარეს, ეკლესიის მთელ სიგანეზე მოწყობილი ნართექსი და მის თავზე, II სართულის დონეზე არსებული პატრონიკე, რ-იც დას. მკლავს სამი მხრიდან ეკვრის.

თ-ის ეკლესია მკვეთრად გამოირჩევა ფასადების მორთულობის ასკეტური სიძუნწით, მაგრამ მისი მცირერიცხოვანი მოჩუქურთმებული საპირეები XII ს. ქართ. ხუროთმოძღვრული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეკლესია გარედან შემოსილია სუფთად გათლილი მოწითალო ქვით, შიგნით კი შერეული მასალაა გამოყენებული ტაძრის არქიტ. მასების წყობა დახვეწილია. ჩანს რამდენიმე შეკეთების კვალი. ტაძარს გარს არტყია გალავანი, რ-ის შიგნით შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო ნაგებობათა ნაშთი. ჩრდ. ნაწილში იდგა სასახლე. აქედან პირდაპირ მიემართებოდა კიბე ეკლესიის პატრონიკეებისაკენ.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963; რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., თიღვა. შირვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა, თბ., 1960; М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია

შ. საღარაძე